პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

23 ივლისი
შაბათი

1906 წ. პირველ სახელმწიფოლების ვიბორგის თათბირი, რომლის შედეგი იყო ვიბორგის მოწოდება.

1826. სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო დეკაბრისტების საქმის შესახებ

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4, ტელეფონი №

დღიური.

— კანადაში დაარსდა [illegible] პარტია.

— ზემო ელზასში გაფიცულების [illegible] გზავნა დასჯელი რაზმები.

— ამერიკის სოციალისტები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.

— მოსკოვში მოელიან ინგლისის ეკონომიურ კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 116 შაბათი, 23 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 23 ივლისი, 1921 წ. № 116

მშრომელი ხალხი გაჭირვებას განიცდის. სურსათ-სანოვაგეს მოკლებულს, მას წამოეწია ხოლერა.
მდიდრების და სპეკულიანტების ხელში აუარებელი ფული დაგროვილი. ნაწილი ამ ფულის მუშურ-გლეხურ ხაზინას უნდა დაუბრუნდეს.
50.000.000.000. მანეთი მუშების, წითელარმიელების და ღარიბი გლეხების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს.
ხელი შეუწყვეთ საგანგებო გადასახადის დროზე და სავსებით აკრეფას!

დეკრეტი № 56

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ერთდროული საგანგებო სანიტარული გადასახადის შესახებ.

რათა სასწრაფოდ და სათანადო გეგმით მოწყობილ იქნეს ბრძოლა ხოლერასა და სხვა გადამდებ სენთა წინააღმდეგ, რომელთა გავრცელება უკვე საკმარისად საფრთხეს წარმოადგენს მთელის რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით-კი მუშებისა, გლეხებისა და წითელ არმიელთათვის,—საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საერთო ფონდის შესადგენად დაწესებულ იქნეს საქართველოს მთელი მოსახლეობის შეძლებულ ნაწილისათვის ერთდროული საგანგებო გადასახადი, რომლის საქმის მოწყობა და აკრეფა განხორციელებული იქნეს უსწრაფესი ტემპით.

2. საერთო რაოდენობა ერთდროული საგანგებო სასანიტარო გადასახადისა განისაზღვროს ორმოცდაათი მილიარდი (50 000 000 000) მანეთით.

3. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს განახორციელოს დეკრეტი ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

4. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარს შეიმუშაოს ინსტრუქცია—გადასახადის აკრეფის წესის შესახებ.

5. ის, ვინც არ ასრულებს ამა დეკრეტის მოთხოვნილებათ და განუდგება გადასახადის გადახდას—მიეცეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალს და დაისაჯოს რევოლიუციონური დროის კანონის სრულის სიმკაცრით.

6. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**
ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**
რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**
1921 წ. ივლისის 16
ტფილისი სასახლე.

ერთდროული საგანგებო გადასახადი

ასეთი გადასახადის აკრეფა განიზრახეს 1918 წ. თვით ქართველ მენშევიკებმაც კი. სათანადო დეკრეტიც გამოსცეს, 30 მილიონი მანეთი გაეწერეს მდიდრებს. მაგრამ წვრილი ბურჟუაზიის სარდლებმა და მსოფლიო იმპერიალიზმის ლაქიებმა ვერ შესძლეს თითის განძრევაც კი გამოცხადებულ კანონის აღსასრულებლად. გამვლელს ეფიცებოდნენ დამარწმუნებდნენ, რომ მათ არ ეშინიათ შეძლებულების [illegible], მაგრამ ბოლოს ბურჟუაზიულ [illegible] სამოთხის წინ შედგნენ და საგანგებო გადასახადი ჩაილურის წყალს გაატანეს.

კლასობრივი გადასახადის შემოღება და ცხოვრებაში გატარება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველ მთავრობას. კლასიური დაბეგვრა მარტო მშრომელთა დიქტატურის მატარებელ ხელისუფლებას ძალუძს.

დღეს გამოქვეყნებული დეკრეტი საქართვ. რევოლ. კომიტეტის ერთდროულ საგანგებო გადასახადის შესახებ ერთ ერთი ნიმუშია ქმედითად რევოლიუციური კანონმდებლობისა. ეს დეკრეტი აღბეჭდილია კლასობრივი, მუშურ-გლეხური ბეჭდით: გადასახადი აწვება საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ შეძლებულ წრეს, ე. ი. მდიდრებს, სპეკულიანტებს. მშრომელი ნაწილი ჩვენი ქვეყნის, მუშა ღარიბი გლეხი და საერთოდ ყველა, ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა და მოგებით არ ცხოვრობს, ყველა ასეთი ელემენტები განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან, რომლის მთელი სიმძიმე დააწვება მხოლოდ და მხოლოდ ექსპლოატატორებს.

გადასახადი კლასობრივი ხასიათისაა რაოდენობითაც. ორმოცდაათი მილიარდი მანეთი უნდა გადავიდეს მუშურ-გლეხურ ხაზინაში მდიდრების ჯიბიდან. ასეთი თავისთავად დიდი, მაგრამ ჩვეულებრივ სპეკულიანტებისათვის შედარებით იოლად ასატანი თანხა ესაჭიროება საბჭოთა მთავრობას ხალხის გამანადგურებელ ავადმყოფობასთან და სხვა უბედურება—გაჭირვებასთან საბრძოლველად. მდიდრების ჯიბიდან ამოღებული ფული მოხმარდება ხალხის ფართო მასსის კეთილდღეობას.

საგანგებო გადასახადი კლასობრივი და რევოლიუციონურია იმ მხრითაც, რომ ის შეკრეფილ უნდა იქნას ერთი თვის განმავლობაში. ფულის ნიშნები სწრაფად უნდა იქნენ ამოღებული მდიდართა სკივრებიდან და თავის დანიშნულებას მოხმარდნენ. ვინც გაძალიანდება, ვინც საქმის გაჭიანურებას განიზრახავს, მას სწრაფად გონს მოიყვანს რევოლიუციონური დროის კანონის სრული სიმკაცრე. არავითარ დანდობას, არავითარ ლმობიერებას და არავითარ შეღავათს ადგილი არ ექნება ურჩების მიმართ—სასტიკი პირადი და ქონებრივი პასუხისმგებლობა მოელის მათ. ამის თავდებია საქ. რევკომის მტკიცე გადაწყვეტილება, ჩვენი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ენერგია და საერთოდ ყველა საბჭოთა დაწესებულებების დაუყონებლივი და ერთბაშად ამოძრავება და ამუშავება საგანგებო გადასახადის დანიშნულ დროზე სავსებით შესაკრეფად.

პარტიული სკოლა და ჯგუფობრივი მეცადინეობა

მომზადება პარტიული მუშაკებისა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა—აი ყველაზე უფრო რთული და გადაუდებელი ჩვენი საქმე: საჭიროა გაწვრთნა კადრთ პროლეტარიატის ხელმძღვანელი და ამ პროლეტარიატის მეოხებით ახალი ცხოვრებისა და ქვეყნის შემქმნელი ჩვენი პარტია; საჭიროა რიგიანად მოვამზადოთ საბჭოთა დაწესებულებანი, ეს ორგანოები პროლეტართა ძალაუფლებისა, მისი დიქტატურისა. ამიტომ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მომზადების საქმეს დიდის ერთგულებით უნდა შევუდგეთ.

პირველ ყოვლისა, ეს მუშაკები უნდა ავარჩიოთ პარტიულ ამხანაგთა შორის.

ამ დიდი საქმის განსახორციელებლად ჩვენი პარტია აარსებს მთელ ქსელს პარტიულ სკოლებისას სოფლად, რაიონებსა და ქალაქებში. ამავე მიზნით თბილისში იხსნება ერთი ცენტრალური პარტიული სკოლა.

საქართველოს კომ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის ორგანო „უწყებების“ პირველ ნომერში უკვე გამოქვეყნებული იყო დებულება სანიმუშო პროგრამით ასეთ სამაზრო სკოლებისათვის და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაბა სოფლად ყველა ერთგულად მოეკიდება განზრახულ საქმის შესრულებას.

სწორი და სათანადო დაყენება მუშაობისა ამ სკოლაში, წინად შეწონილი მეთოდები და წესი სწავლებისა—აი ის საკითხები, რომელიც უნდა დაყენონ და გაითვალისწინონ სასკოლო მომწყობებმა და ყველა იმათ, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებში და საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობის გაღრმავებისათვის, მათი განმტკიცებისათვის.

ჩვენ გვაქვს ერთნაირი გამოცდილება პარტიულ მასალასთან მეცადინეობის საქმეში: საქართველოში მუშაობა პარტიის დაარსების დღიდან ჩვენს პროპაგანდისტებს უხდებოდათ წრეების დაარსება მუშათა და გლეხების შორის და ამ წრეებში გადიოდნენ პარტიის პროგრამას, პოლიტიკურ ეკონომიას, მარქსიზმის ძირითად დებულებებს და სხვა.

ეს წრეები ძველი პარტიული სკოლები იყო, მაგრამ როგორც ცარიზმისა ისე მენშევიკების ბატონობის დროს მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა: ჩუმად, ფარულად, სარდაფებსა ან სხვენებში, ტყესა თუ ღრეებში. არალეგალური ხასიათი ჩვენი მუშაობისა და სრული უქონლობა პარტიული ლიტერატურისა წარმოუდგენლად აძნელებდნენ ამ წრეების სათანადოთ დაყენებას.

ამიტომ იშვიათად თუ დაუსრულებიათ ამ წრეებს თავისი პროგრამა: ან ილუპებოდნენ ჯერ ისევ პროგრამის დაწყებისას, ან არალეგალურ მუშაობის მძიმე პირობათა გამო ავადდებოდნენ, ვერ ვითარდებოდნენ, ცვდებოდნენ და ირღვეოდნენ.

თვით სწავლების მეთოდის მხრივ ეს წრეები განწირულნი იყვნენ დასაღუპავად: ისინი აგებულნი იყვნენ ერსებულ სკოლების სახით, მათში არ იყო შემოქმედება, არ იყო თაოსნობა და აქტივობა მსმენელთა. გამოდიოდა პროპაგანდისტი და ლაპარაკობდა იმდენს, რამდენი ლაპარაკის დროსაც ძალუძდა გარემოება. დღიური მუშაობით ილაჯგაწყვეტილი მუშები და გლეხები ყურს უგდებდნენ პროპაგანდისტს ლექტორს ვაივაგლახით, ძლივს იმაგრებდნენ დაღალულ თავებს და ხშირად სთვლემდნენ ხოლმე კიდეც, ვინაიდან არამც თუ ბუნებრივი დაღლილობა, არამედ თვით ის ბინა, სადაც წრეები ეწყობოდა თავისი შეუფერებლობით ძალ ღონეს ართმევდა ხოლმე მათ. ხშირად არ იყო ადგილი, რომ „დამსხდარიყვნენ ან ამდგარიყვნენ“ უსმენდნენ, უსმენდნენ მასწავლებელს და ხშირად მარტო ამით თავდებოდა ხოლმე საქმე. ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, რომ ლექტორს კითხვები მიეცა თავის მსმენელებისათვის და უფრო იშვიათად ხდებოდა, რომ თვით აუდიტორიას ეკითხა რამე თავის ლექტორისათვის.

როგორც უკვე ვსთქვით, ამ წრეებში არ იყო შემოქმედება, აქტივობა, არ იყო გატაცება ლექტორ პროპაგანდისტისა, გარდაქმნა, შეერთება მისი აუდიტორიასთან; არ იყო ერთი კოლექტიური, საერთო ძალით დამუშავება წრის პროგრამისა.

ასეთია ტრადიცია და გამოცდილება ჩვენი წრე სკოლებისა, იმ წრე სკოლებისა სადაც სწავლობდენ მუშები და გლეხები პარტიულ პროგრამას და საფუძვლებს პროლეტარულ იდეოლოგიისას. დღეს კი სულ სხვა პირობებში გვიხდება მუშაობა: დღეს არის მუშათა და გლეხების დიქტატურა; ჩვენი ხელის შემწყობია მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა. დღეს არავის არ შეუძლია აგვიკრძალოს საგანმანათლებლო კომუნისტური მოღვაწეობა გლეხთა და მუშათა შორის. ჩვენ თვითონ ავალაგებთ იმას, ვინც კი გაბედავს და წინ გადაგვეღობება ამ დიდი მუშაობის დროს.

ამიერიდან ჩვენ პარტიულ სკოლებს ექნებათ ყოვლად მოწყობილი და კარგად განათებული ბინები; მასწავლებლად და ხელმძღვანელებად ჩვენ შეგვიძლია მოვიწვიოთ შესაფერი ამხანაგები; ჩვენ სკოლებს მიეცემათ ყოველგვარი სახელმძღვანელოები: წიგნები, განსაკუთრებით შედგენილი სახელმძღვანელოები, თარგმანები, თუ ორიგინალები. მუშა და გლეხი, კურსელი ჩვენის სკოლებისა, სრულიად განთავისუფლებული იქნება თავის მუშაობისაგან მეცადინეობის დროს, მას მიეცემა სასწავლო ნივთები და სათანადო ულუფა. ყველა ეს ობიექტური პირობა ხელს შეუწყობს ჩვენი სკოლების ნაყოფიერებას და წარმატებას. და აი, ეს ასე იქნება.

მაგრამ არის კიდევ ერთი პირობა, ურომლისოდაც ძალიან შეფერხდება ჩვენი პარტიული სკოლები. ეს არის სწავლის მეთოდები, საშუალება და წესრიგი პროგრამის შესათვისებლად. წინააღმდეგ ძველი ტიპის სკოლებისა და წრეებისა, იმ სკოლებისა და წრეებისა, სადაც ყველაფერი დამოკიდებული იყო პასსიურ მსმენელებზე, სადაც ყველაფერი უნდა „გადმოეღო“ ყოფილიყო, სადაც ლექტორი განმარტოებული იყო აუდიტორიისაგან და მსმენელები თავის მოწაფეებისაგან. ჩვენს სკოლებში უნდა მოისპოს საზღვარი ლექტორსა და მის აუდიტორიას შორის და პირველმა მეორესთან ერთად უნდა შექმნას ერთი ცხოველ მყოფელი კოლექტივი, რომელშიაც ლექტორი უნდა იყოს მხოლოდ უფრო თვალსაჩინო ნაწილი მთელის ერთეულისა. ლექტორი უნდა იყოს ის ცოცხალი ფერმენტი, რომელიც შიგნიდან აღფრთოვანებს „შეგნებას“ აუდიტორიისას და წარმართავს მსმენელთა ყურადღებას აქტიურ აზროვნებისა და ცოცხალ შეგნება შემოქმედებითი მუშაობისკენ.

პრაქტიკულად ეს ჩვენ ასე გვესმის: ლექციების დაწყებამდე ლექტორი უნდა დაუხლოვდეს, დაუმეგობრდეს, თავის მსმენელებს, „გაუშლის რა სულსა და გულს“ თავის აუდიტორიას და დაინტერესებს რა მოწაფეებს თავის „აქეთურ იქითურობით“, სრულიად შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლივ, ასე ვსთქვათ, ნახევარ ტონებით, ნელ ნელა გადადის იმ საგნის, ან ტემის შესწავლაზე, რომელი საგანი, თუ ტემა მას აქვს მინდობილი.

მთელი ეს ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარ წინასწარ საუბრებით ლექტორი ჰღვიძებს თავის მსმენელებს ინტერესს ყველა იმ საკითხებისადმი, რომლითაც ამოიწურება ტემა მისი ლექციისა. ამასთანავე საჭიროა, რომ კითხვების დაყენებისა და ნამეტნავად პასუხის გაცემის დროს თვით კოლექტივს—აუდიტორიის წევრები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას. ამგვარ წინასწარ საუბრისა, თუ მუშაობის შემდეგ ლექცია-იქნება არა რაიმე ძალად თავზე მოხვეული ელემენტი, არამედ იგი იქნება შიგნიდანვე, კოლექტიურ თანამგრძნობის სფეროდან ამოცენებული დაგროვილი ფაქტი შემეცნებისა, რომლის სუბიექტიც გახდება მთელი კოლექტივი, მთელი აუდიტორია, თვით ლექტორი კი იქცევა მხოლოდ იმ ენათა და პირად, რომლის საშუალებითაც აუდიტორია გამოსთქვამს თავისსავე აზრებს.

ამიტომ, იდეალურად დაყენება მეცადინეობისა ჩვენს პარტიულ სკოლებში ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც სინტეზი პრაქტიკულ მეცადინეობა—საუბრებისა ლექციებთან, რომელ მეცადინეობის სიმძიმის ცენტრიც გადადის მასსებთან პრაქტიკულ-ჯგუფობრივ მეცადინეობაში.

ს. ტ.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო.

ბორჯომის მამული

თბილისი, 22 ივლისი. მიღებულია ზომები ბორჯომის სახალხო [illegible] მამულის წესიერად მოსაწყობად, ვინაიდან მამული ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაგზავნა ბორჯომში მიწათმოქმედებაში ტყის მცოდნე პეტრე ბაქრაძე.

საბჭოთა პირველი ხალმშენებლო რაზმი.

თბილისი, 22 ივლისი. სახელმწიფო სააღმშენებლო კომიტეტმა გაგზავნა ბ დაღურში სააღმშენებლო მუშათა პროფკავშირის ეკონომიურ განყოფილების მიერ მოწყობილი პირველი საბჭოთა სააღმშენებლო რაზმი ბაცოთურის წისქვილის ასაშენებლად. ეს სამუშაო ხსენებულმა რაზმმა მაქსიმალურად სამ თვეში უნდა შეასრულოს, მაგრამ ფიქრობენ, რომ რაზმი ამ სამუშაოს ვადაზე ადრე მოათავებს.

აფხაზეთი

პურის აკრება

ათონის რაიონში დამთავრდა პურის ხორბლის მოკრება. მოსავალი საშუალოზე მეტია. მინდვრები სახნავად ითესება ნადიკვ სიმინდით.

საქონლის მოსვლა

სოხუმის ნავსადგურში მოვიდა მოტორიანი გემი „მოსკოვი“. სოხუმისათვის და ბათუმისათვის მარილის დიდი რაოდენობით.

კოოპერატივების გახსნა

მთელს გუმისტინის მაზრაში ეწყობა კოოპერატივთა ქსელი, მომარაგებულია ფართლეულობით, ქონით, ტყავით, მარილით და წუმწუმით. კოოპერატივებს დაევალათ სოფლის მოსახლეობასთან საქონლის გაცვლა გამოცვლის გზით, სიმინდის, ხორბლის, თაფლის, ყველის, კაკლის და სასურსათო განყოფილებისათვის სხვა საჭირო საგნების დამზადება.

წარმოებითი კავშირების კონფერენცია.

სოხუმი 21 ივლისს აფხაზეთის წარმოებითი კავშირების კონფერენციის სხდომები გრძელდება. 100 დელეგატი სხვადასხვა პროფკავშირებიდან. ეს კონფერენცია წარმოადგენს აფხაზეთის მუშათა კლასის პირველ ყრილობას საბჭოთა ხელის უფლების დამყარებისთანავე.

უდიდეს მოვლენაზე და აგრეთვე პროფესიონალურ ცხოვრების საკითხთა მომავალ გადაწყვეტის მნიშვნელობის შეგნებით, შეუდგა მუშაობას აფხაზეთის პირველი პროლეტარული ყრილობა, მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. კანდელოვი. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვა ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და, რომ იგი მზათაა, საჭიროების მიხედვით ჩადგეს წითელ არმიის რიგში იმპერიალიზმთან საბოლოო ბრძოლისათვის. ვრცელ მოხსენებით კოოპერაციის საკითხის გარშემო, გამოვიდა მომარაგების სახალხო კომისარიატის საკოოპერაციო განყოფილების გამგე ამხ. საბაშვილი; რომელმაც აღნიშნა პრაქტიკული ნაბიჯები, გადადგმული აფხაზეთის კოოპერატიულ ორგანოების მიერ.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კოოპერაციამ უნდა შეასრულოს მთავრობის ორგანოთა დავალებანი სურსათ სანოვაგის და აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის დამზადების დარგში. ამასთანავე ერთად კოოპერაციამ უნდა გამოიჩინოს ფართო თაოსნობა ნაწარმოების დამოუკიდებლივ შეძენის მოსაზრებით, და აგრეთვე საქონლისა, მათი მშრომელთა მასის შორის თანასწორად განაწილების მიზნით. კოოპერაცია [illegible], რათა საქალაქო კოოპერატივები შევიდნენ მჭიდრო კონტაქტში სასოფლო კოოპერაციასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის ფართო ოპერაციების წარმოებისთვის რომ ქალაქის პროლეტარი დაუახლოვდეს გლეხს—მიწის დამმუშავებელს. შემდეგ კონფერენციამ დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა კავბიუროში, რომელშიაც კავბიუროს წევრებს ესალმებიან, როგორც კავკასიის პროლეტარიატის პროფმოძრაობის ხელმძღვანელთ. დეპეშაში გამოსთქვამენ რწმენას, რომ პროფკავშირების ძლიერი და მედგარი მუშაობა პროლეტარულ კულტურის ბჭედ გადაიქცევა.

რუსეთი.

რა გავაგზავნეთ საზღვარ-გარეთ

პეტროგრადი, 21 ივლისი. 1921 წ. პირველ ნახევარი წლის განმავლობაში იამბურგით გაგზავნილია საზღვარ-გარეთ 140 ვაგონი სხვა და სხვა ნედლეულობისა.

მაგალითი სხვა კურსანტებისათვის.

მოსკოვი, 20 ივლისი. მოსკოვის კურსების კურსანტებმა შაბათობაზე მუშაობის შემდეგ დაადგინეს გადასდონ თავიანთი ულუფა დამშეულებისათვის.

პროფინტერნაციონალის ცენტრალური საბჭო

მოსკოვი, 22 ივლისი. 20 ივლისს შედგა პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალის ცენტრალური საბჭოს პირველი სხდომა. ცენტრალურ საბჭოში შედიან შემდეგი ამხანაგები რუსეთიდან: ლოზოვსკი, ნოგინი, რიკოვი, ციპეროვიჩი, გერმანიიდან: მაიერი, რიხარდტი, მილერი, ინგლისიდან: მანი, უეკინსი, შეერთებულ შტატებიდან: ჯიდიკსონი, ესპანიიდან: ერლანდისი, ჩეხოსლოვაკიიდან: ჰამპელი, კუნცი, ბულგარეთიდან: დიმიტროვი, სამხრეთ სლავიიდან: პავლოვიჩი, უკრაინიდან: დაშკევიჩი, ნორვეგიიდან: ფაალენი, მექსიკიდან: რამირესი, დანიიდან: [illegible]ენი, ფინეთიდან: ლუმოკო, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკიდან: კოპარსონი, აზერბაიჯანიდან: კაზანოვსკი, სომხეთიდან: ჯურუციანი, ჩინეთიდან: ჩან-ჟინი, საქართველოდან: [illegible], ლიტვიდან: გირინსი, ლუქსემბურგიდან: რომერი.

სასურსათო გადასახადი.

ბრიანსკი. 20 ივლისი (რადიო). წინასწარი მუშაობა სასურსათო გადასახადის მოსაკრებად წარმატებით მიმდინარეობს. სათემო ყრილობანი ესალმებიან დეკრეტს სასურსათო გადასახადების შესახებ.

ახალ შრომისაკენ, ახალ ბრძოლებისაკენ.

მოსკოვი. 22 ივლისი (რადიო) კომინტერნის მესამე კონგრესმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც მიუთითებს რა კომუნისტურ მოძრაობის ზრდას, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებს ახალ ომების საშიშროებასთან ბრძოლაზე: მსოფლიო მდგომარეობის დაფასება იძლევა შესაძლებლობას დასკვნისა, რომ ჩვენ ახალ დიდ ბრძოლების შესახვედრაზე ვიმყოფებით. მსოფლიო ბურჟუაზიას არ ძალუძს უზრუნველყოს მუშები პურით, ბინით, ტანისამოსით და სამუშაოთი. მას შეუძლია მხოლოდ თავზარდამცემი ახალ იმპერიალისტური ომების მოწყობა. პროლეტარიატმა, რომ გადაარჩინოს თავისი ცხოვრება მჭიდროდ უნდა ილაშქროს მსოფლიო ბურჟუაზიის ასეთი ცდის წინააღმდეგ. პურის, ხელფასისა და მუშათა საჭიროების საკითხების ნიადაგზე საჭიროა ყველა კომუნისტმა განავითაროს ფართოდ მოქმედება იმ მიზნით, რომ ფართო მასები ყვითელ პროფკავშირებს ჩამოაშორონ. არ მისცეთ ალაგი ცენტრალისტურ მო-

ხოლერა, მისი გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის საშუალებანი

უმაგალითო საერთაშორისო ომმა გამოიწვია სრული განადგურება საწარმოო ძალებისა, რასაც შედეგად მოჰყვა ხალხის სრულიად გაღატაკება. ღატაკობის დიდი უმრავლესობა განიცდის სიმშილს, უსუფთაობას, ბინის უქონლობას და მოკლებულია საშუალებას დაკმაყოფილოს ელემენტარული ჰიგიენური მოთხოვნილებანი. ამგვარ გარდამავალ ხანაში ყოველი მოარული სენი ფართო ნიადაგს პოულობს თავის გავრცელებისათვის და ამის დამამტკიცებელი საბუთი ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულში მოგვეპოვება. ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩვენ განვიცადეთ ეპიდემია ესპანიური ავადმყოფობისა, ხოლო შემდეგ წინწკლებიანი ტიფისა, ამ უსუფთაობისა და სიმშილობის თანამგზავრ სენისა, რომელშიაც ექვსი თვის განმავლობაში მრავალი მსხვერპლი შეეწირა. ხოლერაც სიმშილობის და უსუფთაობის თანამგზავრი სენია, ამიერ კავკასია წინადაც რამდენიც სოციალური პირობები ცხოვრებისა შედარებით დღევანდელთან ნორმალური იყო, ხოლერის ბუდეთ ითვლებოდა. დღევანდელ პირობებში კი მისი განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი; იგი საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქში უკვე მძვინვარებს; პროვინციიდან მოსული ცნობები გვეუბნება, რომ მან თავი იჩინა რესპუბლიკის ტერიტორიის სხვა და სხვა ადგილებში. მოსალოდნელია რომ იგი, მსგავსად თბილისისა, ეპიდემიის ხასიათს მიიღებს. საქართველოს ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას საშიშროება მოელის საჭიროა სასწრაფო და გმირული ზომები!

სტატისტიკა გვეუბნება, რომ უკანასკნელ წლებში თბილისში ხოლერისაგან გარდაცვლილთა რაოდენობა უდრიდა 50—60 პროცენტს, ხოლო წინწკლებიან ტიფით გარდაცვლილთა რაოდენობა არ აღემატებოდა 4—5 პროცენტს. აქედან ცხადია, რომ ხოლერა თავის შედეგებით უფრო საშინელი ავადმყოფობაა, ვინემ წინწკლებიანი ტიფი და მასთან ბრძოლის წარმოება ყოველგვარი საშუალებით შეადგენს ერთს მთავარს მოვალეობას როგორც მშრომელთა სახელმწიფოსას, ისე თვითეული მშრომელისას. ბრძოლა შესაძლებელია ორივე. საზოგადოებრივი და პირად: პირველი გამოიხატება იმაში, რომ შეიქნას ისეთი სანიტარულ ჰიგიენური პირობები, რომელნიც ხელს უშლიან სენის გაჩენას და გავრცელებას, ხოლო მეორე მიუთითებს იმ ზომებზედ, რომელიც ყოველი მოქალაქის მიერ მიღებული უნდა იქნეს სენისაგან თავდასაცავათ. მაგრამ სენთან ბრძოლა-იქნება იგი საზოგადოებრივი, თუ პირადი ხასიათისა-შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გვეცოდინება სენის გამომწვევი მიზეზები, მისი გავრცელების ხელის შემწყობი პირობები, მისი მიმდინარეობა და მისი შედეგები. მაშ გავითვალისწინოთ ყველაფერი ეს და მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ბრძოლის საშუალებანი.

ხოლერა არის კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობა. მისი გამომწვევი ვიბრიონი ბინადრობს კუჭს და ნაწლავების, უფრო მეტად წვრილ ნაწლავების შიდა პირზედ. ხოლერის ვიბრიონი აღმოაჩინა 1883 წ. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა. ეს პატარა, შეუიარაღებელი თვალით უხილავი არსება თავისი გარეგანი შეხედულებით ემსგავსება გადაბრუნებულ ჯოხს, მძიმისებური ფორმისაა და ამისათვის ატარებს სახელს „ხოლერის მძიმე“.

თავისი თვისებებით ეს ვიბრიონი შედარებით სხვა სენის გამომწვევ მიკრობებთან უფრო სუსტია და ვერ აიტანს ბრძოლას მისთვის მავნე გარემო-პირობებთან. იგი ვერ უძლებს 60 გრადუს სითბოს ერთ საათის განმავლობაში, ხოლო მდუღარე წყალი მას კლავს რამოდენიმე წუთში. მშრალ ადგილზედ იგი ვერ ცოცხლდება, სულეიმანი, 5 პროც. კარბოლის სიმჟავე, განზავებული კირი, კუჭის წვენის მარილის სიმჟავე ანადგურებს ამ მიკრობს სულ მოკლე ხნის განმავლობაში. სველი და ბინძური—ჭუჭყიანი ადგილ-მდებარეობა, ორმოებში დაგუბებული წყალი, ქვები და ნელი მდინარეები, აი ის ნიადაგი, სადაც ხოლერის ვიბრიონი სწრაფად მრავლდება. ასეთია ზოგადათ რომ აღვნიშნოთ „ხოლერის მძიმის“ თვისებანი.

ხოლერის გავრცელება ხდება ორნაირად წყლის საშუალებით და ხოლერიანი ავადმყოფის პირდაპირი შეხებით. თუ სასმელ წყალში ხოლერის ვიბრიონი ბინადრობს, ამგვარი წყლის დალევის შემდეგ ადამიანს უჩნდება ხოლერა.

ხოლერით ავადმყოფი თავისი გარეგანავლით და ნარწყევით აჭუჭყიანებს ყველაფერს, რასაც კი გარეგანავალი და ნარწყევი მიეკარება; ავადმყოფის მომვლელმა თუ ხელი არ დაიბანა, თუ ავადმყოფის გაჭუჭყიანებულ თეთრეულს, ლოგინს და ყველაფერს იმას, რასაც ავადმყოფი შეეხო—ბუზი დაეჯდა,—ადამიანიც და ბუზიც ხდება მიზეზათ ხოლერის გავრცელებისა. ბუზს გადააქვს ფეხებით, ან თავის ნაწლავებით ხოლერის ვიბრიონი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზედ, ხოლო ადამიანს ხელით ან სასმელ საჭმელზედ, ან საკუთარ პირში.

თუ ავადმყოფის გაჭუჭყიანებული თეთრეული მდუღარე წყლით არ გაირეცხა და ნარეცხი წყალი სასმელ წყალს შეუერთდა, ეს გამოიწვევს ხოლერის გავრცელებას იმათ შორის, ვინც ამ წყალს სასმელათ იხმარს. ამგვარათ ხოლერის ვიბრიონის ადამიანის სხეულში დაბინადრება შესაძლებელია მხოლოთ სასმელ-საჭმელის საშუალებით, გზა ამისათვის კი ერთად-ერთია: პირი, საჭმლის მილი, კუჭი და ნაწლავები. გარეშე ამ გზისა, სხვა გზით კიდეც რომ დაბინავდეს ადამიანის სხეულში ხოლერის ვიბრიონი, მას ავადმყოფობის გამოწვევა არ შეუძლია.

ცნობილ მეცნიერ სავკინის გამოკვლევამ დაამტკიცა რომ შხამიანი ვიბრიონი ხოლერისა ვერ მოხვდება ადამიანის სხეულში და მალე იღუპება, თუ იგი შეჰხვედრილი იქნება კანქვეშ ან ადამიანის სისხლში.

იმ ერთად ერთ გზაზედაც, რომლითაც ხოლერის ვიბრიონი ფეხს იკიდებს ადამიანის სხეულში, მას დაბრკოლება ხვდება და ამ დაბრკოლების გადალახვა მხოლოთ მაშინ შეუძლია, თუ ადამიანის კუჭის ფიზიოლოგიური ფუნქცია შესუსტებულია, ან კუჭი დაავადებულია. მარილის სიმჟავე, რომელიც შემადგენლობითი ნაწილია კუჭის წვენისა, ჰკლავს ხოლერის ვიბრიონს სულ მოკლე ხნის განმავლობაში; ჯანსაღი ადამიანის კუჭი კი საკმაოთ გამოიყოფს ხოლმე ამ სიმჟავეს.

ამნაირათ ჯანსაღი ადამიანი, თუ მისი ორგანოების ფიზიოლოგიური ფუნქციები შესუსტებული არ არიან, ადვილათ იბრძოლებს ამ საშინელ სენის გამომწვევ ვიბრიონს და ყოველთვის ბრძოლა ადამიანის გამარჯვებით თავდება; ყველა ის პირობები, რაც ასუსტებს ადამიანის სხეულს—ფიზიკური და გონებრივი დაღალულობა, საჭმლის ნაკლებლობა, ან მეტი საჭმლის მიღება, ღვინის და სასმელების გადაჭარბებული ხმარება და აგრეთვე შიში ავათ გახდომისა ხელს უწყობს ადამიანის სხეულში დაბინადრებული ხოლერის ვიბრიონის გამრავლებას. თუ ვიბრიონმა ჰპოვა ყველა მისი გამრავლებისათვის დამაბრკოლებელი მიზეზები, იგი სწრაფად ვითარდება კუჭ ნაწლავებში და იწვევს იმ საშინელ სენს, რომელსაც ხოლერა ეწოდება. ფარული ხანა ამ ავადმყოფობისა—ე. ი. ის დრო, რომელიც გადის ვიბრიონის სხეულში დაბინადრებიდან ავადმყოფობის ნიშნების გამოაშკარავებამდე, მოკლეა და უდრის 2—5 დღეს. ამით აიხსნება ის გარამოება, რომ ეს სენი საშინელი სისწრაფით ვრცელდება. ავადმყოფობა იწყება ფაღარათობით და პირის ღებინებით; გარეგანავალი თანდათან კარგავს ჩვეულებრივ, ნორმალურ თვისებებს და თავის გარეგანი შეხედულებით ემსგავსება ბრინჯით ნახარშ წყალს. ფაღარათობა და პირის ღებინება უფრო და უფრო ძლიერდება; ადამიანს ტანი უკვდება, ტუჩები ულურჯდება, კანი ეჭმუჭნება დაჰკარგავს თავის ელასტიურ თვისებას, თვალები ღრმათ ჩავარდება, ცხვირი და სახე უწვეტიანდება, ხმა უწყდება, მაჯის ცემა მეტად ჩქარაა—და მისი ტალღა ძაფისებური, ტემპერატურა ნორმაზედ დაბლა ეცემა, წვივის კუნთები ეკრუნჩხება და ბოლოს ავათმყოფი კვდება გულის სისუსტის და სხეულის მიკრობის შხამით მოწამვლისაგან. დიდი ხანია მეცნიერება იკვლევდა ამ სენთან ბრძოლის საშუალებას და ამ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია; ბაქტერიოლოგიურმა მეცნიერებამ გამონახა საშუალება, რომლის შემწეობითაც ადამიანის სხეულში დაბინადრებული ვიბრიონები უვნებელი ხდებიან ადამიანისათვის. ერთგვარათ დამზადებული ხოლერის საწინააღმდეგო ასაცრელი ნივთიერება აცრის შემდეგ უქმნის ადამიანის სხეულს ისეთ თვისებებს, რომ ხოლერის ვიბრიონი უვნებელი ხდება და ვერ იწვევს თავის საშინელ შედეგებს. ეს აცრა ტკივილებს სრულიად არ იწვევს, მას არაფერი ცუდი შედეგი არ მოჰყვება და ერთი უძლიერესი საშუალებაა ხოლერასთან საბრძოლველათ. ამ ხანათ ყველა ქვეყნის ლაშქარში ასეთი აცრა სავალდებულოა.

ჩვენ განვიხილეთ ხოლერის გაჩენის მიზეზები, აღნიშნეთ ხოლერის გამომწვევი ვიბრიონის თვისებები, მიუთითეთ იმ პირობებზედ, რომელნიც ხელს უშლიან მის განვითარებას ერთის მხრივ, და ჰქმნიან ხელსაყრელ ნიადაგს მისი გამრავლებისათვის მეორეს მხრივ; ბოლოს შევეხეთ აცრას, როგორც ამ სენთან საუკეთესო ბრძოლის საშუალებას. ნათქვამიდან ცხადია, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ხოლერა არ გაჩნდეს; და თუ გაჩნდა—არ გავრცელდეს და ბევრი მსხვერპლი არ შეიწიროს.

ხოლერის მოლოდინში საჭიროა დაცული იქნეს სრული სისუფთავე სახლებში, ეზოებში, ფეხის ალაგებში, სანოვაგის სავაჭრო მოედნებზედ, რადგან სველი, ბინძური და ჭუჭყიანი არე პოხიერ ნიადაგს წარმოადგენს ხოლერის ვიბრიონის განვითარებისათვის; საჭიროა პერიოდული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა სასმელი წყლისა, რომ ვიცოდეთ, ბინადრობს მასში ვიბრიონი თუ არა, და თუ ბინადრობს სათანადო ზომები მივიღოთ წყლის გასაწმენდათ; ხოლერის გაჩენის შემდეგ საჭიროა სასტიკი აღრიცხვა ყველა ხოლერით ავადმყოფისა, მათი ჩქარი განცალკევება, და სრული დეზინფექცია იმ ბინისა, სადაც ხოლერით ავათმყოფი ცხოვრობდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასმელ საჭმლის და ადამიანის ხელების სისუფთავეს, რადგან საჭმელ სასმელის და ხელების საშუალებით შეუძლია ხოლერის ვიბრიონს გზა გაიკვლიოს ადამიანის კუჭისა და ნაწლავებისაკენ; ამისათვის საჭიროა გადადუღებულ წყლის ხმარება დასალევათ, მხოლოთ ახლათ დამზადებული ცხელი საჭმელის მიღება, მოხარშული ხილის და ცხელწყალში ამოვლებული მწვანილის ჭამა და ყოველთვის ჭამის წინ ხელის გასუფთავება. საჭიროა ვერიდოთ ყველაფერს, რასაც ადამიანის სხეულს საზოგადოთ და განსაკუთრებით კუჭს და ნაწლავების ნორმალურ ფიზიოლოგიურ ფუნქციებს ასუსტებს; ამისათვის უნდა ვერიდოთ ფიზიკურ და გონებრივ დაღლილობას, საჭმლის ნაკლებობას, მეტი საჭმლის მიღებას, ღვინის და სასმელების გადაჭარბებული ხმარებას. ყველა აღნიშნულ ზომების ცხოვრებაში გატარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ თვით ხალხი გამოიჩენს თვითმოქმედებას; ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ხალხს წარმოდგენა აქვს ამ სენზედ და სწამს აღნიშნულ ზომების აუცილებლობა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველათ; ხალხის ფართო მასსაში ამ შეგნების შეტანა და ამნაირათ მისი სენთან საბრძოლველათ ამოძრავება—აი მორიგი ამოცანა დღევანდელი მომენტისა. ვინ უნდა აიღოს თავის ხელში ინიციატივა ამ ამოცანის განხორციელებისა? რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი გვეუბნება, რომ ამ ინიციატივის საკუთარ ხელში აღება საქართველოს კომუნისტური პარტიის მოვალეობაა. საბჭოთა რუსეთმა ამ მოკლე ხანში განიცადა სამი დიდი ეპიდემია ისპანიური ავადმყოფობის, წინწკლებიანი ტიფის და ხოლერის. ყველა ამ ეპიდემიების დროს რუსეთის კომუნისტური პარტია მათთან ბრძოლის საქმეს სათავეში ჩაუდგა. [illegible] ენერგიით იგი შეუდგა მშრომელთა შორის ჰიგიენურ სანიტარულ ცნობების გავრცელებას ლექციების და ბაასის გამართვით, პოპულიარული ლიტერატურის გავრცელებით და სათანადო პროპაგანდა—აგიტაციის წარმოებით. ამით მან შესძლო მშრომელ მასსაში საჭირო შეგნების შეტანა და წითელი ამ მასსის სენთან ბრძოლაში ჩათრევა; მიუხედავად აუტანელი, მძიმე პირობებისა, რომელშიდაც რუსეთის მშრომელთა მასსა ცხოვრობდა, იგი ამ ძნელ ეპიდემიასთან საბრძოლველათ და ბრძოლა ხალხის სრული გამარჯვებით დამთავრდა განვლილ ეპიდემიის დროს.

ნორჩ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას დღეს განსაცდელი მოელის როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ—თბილისში ხოლერა მძვინვარებს, ხოლო პროვინციაში იგი გაჩნდა და თუმცა ჯერ-ჯერობით ეპიდემიური ხასიათით არ ვრცელდება, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ასეთ ხასიათს მიიღებს. ხსნა მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების ამოძრავებაში და მათი აქტიურათ ბრძოლაშია.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ უნდა წაბაძოს მისი სახელოვანი უფროსი დის, რუსეთის კომუნისტურ პარტიის მაგალითს. მან უნდა შესძლოს, რათაც ეს მას არ უნდა დაუჯდეს, მშრომელთა მასსების სენთან საბრძოლველათ ამოძრავება. მხოლოთ მშრომელთა თვით მოქმედება და საექიმო მეცნიერების წარმომადგენლებთან ერთად მათი შეთანხმებული მუშაობა თავდებია იმისა, რომ საშინელი სენი ძლეული იქნება და სოციალისტური სამშობლო განსაცდელს თავს დააღწევს.

შ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობას, განამტკიცეთ სულიერი სწრაფვა, განავითარეთ ჩვენი ბრძოლა. კონგრესი მიაქცევს ყურადღებას ბურჟუაზიასთან ბრძოლის სამზადისის აუცილებლობაზე. საერთო რევოლუციონური აგიტაციის საშუალებით ფართო, მასის ჩამოზადება, ორგანიზაციული წესით ბრძოლაში შეყვანა. ამ ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიებმა უნდა განავითარონ ბრძოლის დისციპლინა უმაღლეს წერტილამდე. უახლოესმა გამოსვლებმა გვაჩვენეს, როგორ უნდა მოემზადონ მომავალ ბრძოლებისათვის. ყველა კომუნისტური პროლეტარები და პროლეტარი ქალები უნდა მოიქცნენ მომავალ ბრძოლებში, როგორც ნამდვილი ხელმძღვანელები აჯანყებულ პროლეტარიატისა, ჩვენი გამარჯვება მუშაობისა და მომზადებულ ორგანიზაციისათვის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საფრანგეთი.

პროლეტარიატი არ დაუშვებს.

რიგა. 20 ივლისი. (რადიო). „ჰუმანიტე" ხელახლად აღნიშნავს: ყოველ დღე სამხედრო მარაგით დატვირთული მატარებლების გაგზავნას ცენტრალურ ევროპაში და აგრეთვე გაძლიერებულ დღე-ღამის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას პარიზის მიდამოების იარაღის ქარხნებში და კრეზოს ქარხნაში. ამაში მზადდება ტყვიისმფრქვეველები, ზარბაზნები და ყუმბარები, რომლებიც იგზავნებიან რუმინეთსა და პოლონეთში. პალატა დაითხოვს საზაფხულო არდადეგების გამო, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა ტრიბუნიდან ამის გამო პროტესტის გამოთქმა და [illegible] „იუმანიტე" [illegible] აღნიშნავს, რომ [illegible] და [illegible] რევოლუციონურ რუსეთთან დიდ შეჯახების მიზნით მოიმარაგებს სხვა და სხვა საომარ მასალას.

კაპიტალისტური წესწყობილება ინგრევა.

რიგა. 20 ივლისი. გაფიცვა დელოკოტიეში მეტალურგიის მუშებისა [illegible] უფრო და უფრო ვრცელდება. წესრიგის დასაცავად გაგზავნილია სამხედრო რაზმები.

გერმანია

თუ კეთილია თქვენი განზრახვა კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ნაუენი. 20 ივლისი. ბერლინში ჩავიდა მოსკოვისაკენ გამომგზავრებული ინგლისის ეკონომიური კომისია, 12 წევრისაგან შემდგარი.

ამერიკა

სალამი ბურჟუაზიის მესაფლავეთა ახალ რაზმს.

ამერიკა. 20 ივლისი. კანადაში სხვა და სხვა კომუნისტურ მიმდინარეობის შეერთების შემდეგ შესდგა ერთიანი კომუნისტური პარტია.

ამერიკელი სოციალისტები იცავენ საბჭოთა რესპუბლიკას.

რიგა. 20 ივლისი (რადიო). ნიუიორკის პრესა იტყობინება, რომ ივლისის მიწურულში დასრულდა შეერთებულ შტატების სოციალისტური პარტიის კონფერენცია. საბჭოთა რუსეთის შესახებ ამერიკელ სოციალისტებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც საბჭოთა მთავრობას ულოცავენ წარმატებით ბრძოლას რეაქციონური აჯანყებების, ბლოკადის და ეკონომიური ბოიკოტის წინააღმდეგ. ამერიკელი სოციალისტები მოითხოვენ საბჭოთა მთავრობის ცნობას (ბოლო დამახინჯებულია).

იაფი პროვოკაცია

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს № 114 ნომერში მოთავსებულია პროვოკაციული წერილი სათაურით „ალავერდის გაძარცვა". წერილის ავტორი ვინმე „ისტორიკოსი მკითხველი" აუწყებს ამ გაზეთის მკითხველებს ალავერდის მონასტრის გაძარცვას ვინმე ზაუტოვის მეთაურობით. შემდეგ სწერს, „რომ „ამ გაძარცვის შემდეგ ალავერდის სიმდიდრე, რაც კი დაცულ [illegible] ყოფილა, [illegible] მოთავსებულ კედლებში და სხვა [illegible] მთლათ გამოუღიათ, ძვირფასი ბრილიანტები, ოქროს ჯვრები, სამკაულები თვალ-მარგალიტები, აუწყიათ ოთხი ტომარა და ჯარ [illegible] შესახებ, შემდეგ თბილისში წაუღიათ. იქნება თუ არა ეს ქართველი ერის ისტორიული განძი დაცულ შენახული სამშობლოს [illegible] ქართულმა საზოგადოებამ [illegible] აზრი ამას ყურადღება უნდა მიაქციოს".

ჩვენ ასეთ მივაქციოთ ყურადღება ამ წმინდა წყლის პროვოკაციას და ქართველ მშრომელ ვაუწყოთ საქმის ნამდვილი ვითარება: ავაზაკებმა გაძარცვეს ალავერდის მონასტერი; ენერგიული ზომების მიღებით ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შეძლო ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა და გაძარცულ ნივთების ნაწილის დაბრუნება. გაძარცვის ფაქტმა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დაბადა [illegible] დარჩენილ განძეულობათა უზრუნველყოფის შესახებ. მთავრობამ [illegible] მონასტრის ხელმძღვანელთ [illegible] გარანტია თუ განძეულობა დაცულ იქნება და რაკი მათ პასუხის გება ვერ იკისრეს, მიიღო ზომები ამ განძეულობათა თბილისში გადმოტანით და ხაზინაში შენახვით.

რა თქმა უნდა საბჭოთა მთავრობას გულხელდაკრეფილი არ შეეძლო ეცქირა თუ როგორ გაძარცვავდნენ ალავერდის მონასტერს [illegible].

აი ეს არის საქმის ფაქტიური მხარე და „სოციალისტ-ფედერალისტი" ხმას ვინმე „მეძრო"-ს [illegible] და ამ პროვოკაციულ წერილს მოთავსებით უნდა ცდილიყო საქმის ნამდვილი ვითარების გაგებას.

უნდა მოვახსენოთ სოციალისტ-ფედერალისტებს, რომ საბჭოთა მთავრობა ჩვეული არ არის ხალხის სიმდიდრის და ისტორიული განძეულობის გატაცებას უცხოეთში საფლანგავად, როგორც ეს ჩაიდინა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ. სად ბრძანდებოდნენ მაშინ ბ. ბ. სოც. ფედერალ., როდესაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში შეგროვილი საქართველოს სიმდიდრე-განძეულობა მენშევიკების ავაზაკებმა საქართველოს ტერიტორიიდან გაზიდეს? განა ფედერალისტების ლოცვა-კურთხევითაც არ ხდებოდა ეს ჯერ ისტორიაში გაუგონარი ძარცვა გლეჯა ხალხის საუნჯისა?

ტყვილად ჰგონია ვინმეს თვალთმაქცობით და უმგვანო იაფი პროვოკაციით ფონს გასვლა, ხალხის ყურადღების მიქცევა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ [illegible] საქართველოს მუშებსა და გლეხებში. მუშათა და გლეხთა მთავრობა თავის ხალხს-ამ მუშებს და გლეხებს არაფერს მოსტაცებს და უცხოეთში არ გაიტანს გასაფლანგავად და ავანტიურის მასაწყობათ.

ლეო.

ქრონიკა

წყალი თბილისისათვის. საქ. რევკომის განკარგულებით მიღებულია სასწრაფო ზომები მცხოვრებთა წყლით უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად საქ. რევკომის პრეზიდიუმის სხდომაზე 18 ივლისს მოსმენილ იყო მოხსენება ავჭალის წყლის მილის მდგომარეობის შესახებ. დადგენილი იქნა: წინადადება მიეცეს საქ. რევკომის [illegible] სასწრაფო ზომები ავჭალის წყლის მილის ნორმალური მუშაობის აღსადგენათ, რომ ქალაქის მცხოვრებთ მიეცეს საჭირო წყალი. ამისათვის დადგენილია წინადადება მიეცეს სახ. მეურნ. უ. საბჭოს სასწრაფოთ მიიღოს ზომები ავჭალის წყლის მილის ნავთით და ყოველ მასალებით უზრუნველსაყოფად. ა. კ. გზის მთავარ სახელოსნოთა ადმინისტრაციას წინადადება მიეცა, რომ ყველა დაკვეთა ქალაქის წყლის მილისა შესრულებული იქნეს პირველ რიგში და სასწრაფო წესით შესრულებული იქნას ადმინისტრაციის ჩვენების თანახმად, წყლის მილის ყველა გაფუჭებული ნაწილები და გაკეთებული დაკლებული ნაწილები როგორც სამთოროთ ისე ტურბინი.

სანიტარული საიზოლიაციო ვაგონები. სწრაფ მატარებლებში №№ 9 და 10, თბილის-როსტოვში მიმავალში არსდება მიმოსვლა სასანიტარო საიზოლიაციო ვაგონებისა, რისთვისაც ამიერ კავ. რკ. გზის მართველობას წინადადება მიეცა, რომ სასწრაფო წესით მოაწყოს ერთი ვაგონი ჯანმრთელობის განყოფილების მითითებით.

მომარაგების ხაზით. მომარაგების საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ხიდვის მოვალეობის ასრულებას შეუდგა სახალხო მომარაგების საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კიკნაძე.

კალენდარი 1922 წ. იმ მიზნით, რომ თავის დროზე იქნეს დაბეჭდილი 1922 წ. კალენდარი, პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგიამ მიმართა სახალ. განათ. კომისარიატს, რომ გამოგზავნოს კალენდრისათვის საჭირო მასალები ახლო ხანებში ასაწყობათ.

ქუჩების შეკეთება. ქალ. რევკომის სხდომაზე 19 ივლისს დადგენილია: 1) ძიებლოს კომ. მეურნეობას გამოარკვიოს საერთო ღირებულება ქუჩებისა, რომელთაც სჭირია შეკეთება. 2) გადაიდოს ყოველ დღიურად კომ. მეურნეობის საერთო ბიუჯეტიდან 5 მილიონი სპეციალურათ ქუჩების შესაკეთებლათ. 3) დაევალოს კეთილ მოწყობილების ქვეგანყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს პლეხანოვის პროსპექტის შეკეთებას.

დახმარება რკინისგზელებს. სახ. სას. კომისარმა ამხ. ერქომაიშვილმა და ჩუბინიძემ საქ. რევკ. პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთეს სპეციალური მოხსენება რკინისგზელების სურსათით დახმარების შესახებ. გადაწყვეტილია წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანოებს, რომლებიც განაგებენ სასურსათო ტვირთების საქმეებს, რომ ყველა [illegible] ჩამოსული ტვირთები გადაეცეს განაწილებლათ რკ. გზის მართველობის ოპერატიულ განყოფილებას.

პროვინციაში.

ტყიბული (ქუთ. მაზრა)...

ტყიბული მდებარეობს ქუთაისიდან 40 ვერსის მანძილზე, ის შესანიშნავია იმით, რომ 4 ვერსით არის [illegible] „ნახშირის" [illegible] 1000 მუშა მუშაობს. მაგრამ [illegible]

დროის მან დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული... რადგან მაშინდელი [illegible]

მუშები ვითომდა „კარგს" პირობებშიაც ყავდათ, მაგრამ მაინც მოდიოდათ „სკანდალი" და ხშირი იყო გაფიცვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა სულ შეიცვალა, რადგან ეხლანდელი მთავრობა თვით მუშა-გლეხთაგან შედგება. მნიშვნელობა მთავრობისათვის [illegible] ამ მაღაროებს, როგორც გადამწყვეტ წარმოებას. უწინდელთან შედარებით ნაკლებია და ამის მიზეზი ის არის, რომ საერთოთ სურსათ სანოვაგის კრიზისია. უწინ ორიათასი მუშაზე მეტი მუშაობდა და ეხლა ნახევარიც არაა, ამასთანავე ამათ რიცხვში ნამდვილი მუშა პროლეტარი თითქმის ძალიან ნაკლები პროცენტია, ვინც არის ისევე ახლო მახლო მცხოვრებნი... ტყიბულის მადნი მოითხოვს მეტს პროლეტარ მუშებს, რომლებიც თან მდგომარეობას გაუწევენ ანგარიშს და თან აიწევენ [illegible] ნაყოფიერებას. ჩვენ დიდათ ვაფასებთ ქუთაისის [illegible] მაინობას. ისინი დღეს დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდიან. ეს უდავოა მაგრამ მათ უნდა სწავლით, რისთვის და ვისთვის მუშაობენ. რისთვის და ვისთვის იტანენ ამდენ გაჭირვებას? პასუხი მარტივია, თავისთავ კარგ მომავლისათვის, თავიანთ კარგ ცხოვრებისათვის. როდესაც მუშა-გლეხთა საქმე კეთდება მაშინ ვინ უნდა გადიტანოს ყოველი გაჭირვება თუ არა მუშამ?.. და ასე ტყიბულის მაღაროები დიდი ყურადღების ღირსია. საჭიროა აქაურ მუშებში ფართო პროპაგანდა აგიტაცია, მუშების პოლიტიკურათ აღზრდა და განვითარება; ამასთანავე მათი ეკონომიური პირობების რაც შეიძლება გაუმჯობესება.. და შემდეგში ჩვენ მივაღწევთ კარგს საწადელს [illegible], კარგათ მომზადებულ მუშა-პროლეტარიატს... ამ მაღაროებს [illegible] დიდ ყურადღებას აქცევდნენ [illegible] და მათთანაც ისინი საუკეთესო ძალებს აგზავნიდნენ.. ეხლაც [illegible] ამ მაღაროებში [illegible] რომლებიც დადიან [illegible] თვით ტყიბულში არის სახალხო სახლი—(კლუბი) სადაც ნახშირის სცენის მოყვარულნი ყოველ კვირა დგამენ წარმოდგენებს.. არის ბიბლიოთეკა სამკითხველო და ორ კლასიანი სკოლა. საჭიროა დაწყებულ-პირველ დაწყებითი უმაღლეს სკოლის [illegible] ზე დამთა[illegible] თა ხელის უფლებისა და [illegible] მას დახმარებას... მხოლოთ ჩვიან როდის მოეღება სასურსათო კრიზისს ბოლოო?..

საცხოვრებლად ტყიბული ძალიან კარგია, ჰაერი სადი და მიმზიდველი.

ხან-ჯანი.

სოფ. რუისი.

სოფ. რუისში ახლად მოსული რაიპარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვასო ლომსაძის ინიციატივით და სხვა დასხვა ადგილობრივ დაწესებულების წარმოადგენლების თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა გეგმა სოფ. რუისში კლუბის აგების და მოწყობისთვის. 12 ივლისიდან უკვე შეუდგნენ მუშაობას კლუბის ასაგებათ მოწვეული ხელოსნები. კლუბის მიზანი არის ხშირ ხშირად ლექციების, მიტინგების და წარმოდგენების მოწყობა.

10 ივლისს 1921 წ. სოფელ რუისში გამართულ იქნა მიტინგი (პირველი მიტინგი სოფ. რუისში) რაიპარტკომის პასუხისმგები მდივანის ამხ. ვასო ლომსაძის მეთაურობით. მიტინგს დაესწრო რევკომის მთელი შემადგენლობა და მრავალრიცხოვანი ხალხი. სიტყვა წარმოსთქვა მიმდინარე მომენტზე ამხ. ვ. ლომსაძემ. აუხსნა ხალხს პარტკომის დანიშნულება და მისი მუშაობა.

მის შემდეგ ხალხს გაეცნო ახლად დანიშნული ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე ამხ. პლატონ წიკლაური. აუხსნა ხალხს რევკომის დანიშნულება, დამოკიდებულება ხალხთან და მუშაობა.

როგორც გამოჩნდა ხალხის კითხვებიდან სოფ. რუისის გლეხ-კაცობას ქონია ძალიან ბნელი წარმოდგენა კომუნიზმზე და კომუნისტებზე. მათ ქონიათ ჩაგონებული რომ, ვითომც კომუნისტები ისეთი ხალხია, რომლებსაც ქვეყანაზე არაფერი არა სწამთ და „ჩემი შენია, შენი ჩემია", ვითომ ვოცვლიდებოდეს დედებზე, ცოლებზე და სხვა. ამხ. ვ. ლომსაძე და პ. წიკლაურმა აუხსნა ხალხს განსხვავება მენშევიკების და კომუნისტების შორის, რას ნიშნავს სიტყვა „კომუნა" და მრავალი ფაქტებით დაუმტკიცეს მათ, რომ კომუნა სრულებით არ არის ის, რაც ჩაუგონებიათ მათთვის სხვადასხვა პროვოკატორებს. გაიგეს რა ეს, [illegible] ხალხი [illegible]

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

მევინეობა საქართველოში.

მევინეობა საქართველოში უძველესი და დიდი დარგია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობაში მას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. მევენახეობა და მეღვინეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ძლიერ დაქვეითებულია. ამ დარგის შესაძლებლობა არ არის გამოყენებული. საერთო ნაკლი და დაკნინება სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით ჩანს მევენახეობასა და მეღვინეობაში. უკვე ომიანობამდე საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა დიდ განსაცდელში იყო, დღეს მისი წარმოება დიდ საფრთხეშია, საჭიროა სასწრაფო და მედგარი მუშაობა, რომ ეს დარგი მეურნეობისა არ დაიღუპოს და არ განადგურდეს. საყურადღებოა ვენახების სივრცე. ვენახებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში უჭირავს:

წლები	დესიატინები. დასავ. საქართ.	დესიატინები. აღმოსავ. საქართ.
1908	20.230	21.352
1911	19.916	20.558
1913	18.191	20 798
1914	18.233	21 402

ვენახების სივრცე ომიანობამდე შეიცვალა დასავლეთ საქართველოში. შემცირდა, შემცირება შეადგენს 9 პროც., ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი ის თითქმის უცვლელად დარჩა. ვენახების სივრცე საქართველოში არ იზრდება, მეურნეობის პირობები ამას ხელს არ უწყობს. დასავლეთ საქართველოში ვენახების სივრცის შემცირების მთავარი მიზეზია ავადმყოფობის გაჩენა (ფილოქსერა). დასავლეთ საქართველოში ავადმყოფობისაგან განადგურებული ვენახები გადადის ამერიკულ ვაზზე. ვენახების გადაგვარებას სჭირდება დრო. მათი გარდაქმნა ნელ-ნელა ხდება. საქართველო წვრილი მევენახეობის ქვეყანაა. აღმოსავლეთ საქართველოში თითო ვენახის სივრცე საშუალოდ არის 0,5 დესიატინისა, დასავლეთ საქართველოში—0,2 დესიატინისა. დასავლეთ საქართველოში ვენახების სივრცე ძლიერ მცირეა.

საქართველოს მევენახეობაში აღსანიშნავია შემდეგი მოვლენა: ომიანობამდე ვენახების სივრცე თითქმის არ გაზრდილა. სოფლის მეურნეებს არ გამოუჩენიათ მიდრეკილება ვენახების გადიდებისაკენ. მართალია, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დაიწყო სოფლის მეურნეობაში გადაჯგუფება და გარდაქმნა, მეურნეობა ნელ-ნელა გადადიოდა მაღალ წარმოებაზე და მცირდებოდა ჩვეული ხორბლეულობის წარმოება, მაგრამ ამ მიმართულების გარეშე დარჩა მევენახეობა. ის თითქოს გაქვავდა, მისი სივრცე ერთ დონეზე დარჩა. ამ მოვლენას ღრმა მიზეზები ქონდა. ვიდრე ამ მიზეზებს აღვნიშნავდეთ საყურადღებოა ღვინის მოსავლის რაოდენობის გამორკვევა.

საშუალო წლიური ღვინის მოსავალი ომიანობამდე შეადგენდა 6,3 მილიონ ვედროს, 1913 წ. უდიდესი მოსავალი იყო 10 მილიონი ვედრო. ღვინის მოსავალი საქართველოში ძლიერ ცვალებადია, მაგალითად ღვინის მოსავალი საქართველოში 1908 წ. 5.469 ათასი ვედრო, 1911 წ. 2469 ათასი ვედრო, 1914 წ. მოსავალი ავიდა 3.567 ათას ვედრომდე.

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში უკვე ომიანობამდე დიდ გასაჭირში ჩავარდა. ვენახებს მოერია სხვა და სხვა ავადმყოფობა, ავადმყოფობის წინააღმდეგ წამლების მიწოდება და დარიგება არ იყო მოწყობილი. რუსეთის მთავრობამ როგორც იყო ახსნა ბაჟი 1 მანეთი 50 კაპ. თითო ფუთ შაბიამანზე, მაგრამ მიწოდება ხელში ჩაუგდო კაპიტალისტებს, რომლებიც თავისი ნებით აწესებდნენ ფასებს. შაბიამანის მაზრა, რომელიც საშუალოდ ყოველ წელს თხოულობდა 20,000 ფუთ შაბიამანს, აძლევდა კერძო კაპიტალს მოგებას 40,00,000 მ. მევენახე, წვრილი მევენახე, სრულიად უპატრონოდ დარჩა და ყოველ წელს დიდ ზარალს ხდიდა კაპიტალისტების და ვაჭრების ჩარჩების სასარგებლოდ. ვენახების ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო მოწესრიგებული; მეღვინეების და მევენახეების ყრილობები (კახ. [illegible] ყრილობა 15—24 გიოგობ. 1909 წ.) ხშირად აღნიშნავდნენ ხელმძღვანელობის საჭიროებას მევენახეობის და მეღვინეობის დარგებში, ხოლოდ [illegible] რეზოლუციები უნაყოფოდ რჩებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში დიდ ზარალს აყენებდა მევენახეობას სეტყვა, რომელიც ხშირად სრულიად ანადგურებდა ვენახებს. ამ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლა [illegible] იყო დაუწყებელი.

მრავალგვარი გამოცდილების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოში შესაძლებელია საუკეთესო ხარისხის ღვინოების დაყენება. გამოირკვა, რომ საქართველოში შეიძლება სხვა და სხვა გვარი ღვინოების დაყენება ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ღვინის ხარისხის გაუმჯობესება სრულიად შესაძლებელი იქნება. ცნობილმა მეღვინემ საქართველოში ვ. ი. ტიბომ იმერეთში ისეთი ღვინოები დააყენა, რომ მიიღო ოქროს ჯილდო პარიზში, ბორდოში, ლაიფციგში, ედინბურგში. მან ისეთი მაღალი ხარისხის ღვინოები დააყენა, რომ გატანა კონტრაქტში (იამაიკა) და მიიღო ჯილდო. 1892 წ. მან გაიტანა იმერული ღვინო პეტერბურგში ზღვით, შემოიარა რა ევროპა. ტიბომ დაამტკიცა, რომ შეიძლება იმერული ღვინოების ისეთი წესით დამზადება, რომ ღვინო გაუძლებს შორს გადაზიდვას.

10 წლის განმავლობაში ომიანობამდე საქართველოს მეღვინეობა დიდ კრიზისს განიცდიდა. მიზეზი კრიზისისა იყო ის, რომ ღვინოს ბაზარი არ ქონდა. შინაური ბაზარი ვერ ინელებდა ღვინის მოსავალს, გარეშე ბაზარზე საქართველოს ღვინო ვერ გადიოდა, რადგან გარეშე ბაზრის მომხმარებელი ვერ ითვისებდა საქართველოს ღვინოებს. და მათი შორს გადაზიდვა შეუძლებელი იყო, რადგან მოგზაურობა ღვინოს აფუჭებდა. მაგალითად 1906 წ. 206 ათასი ფუთი ღვინო იყო გაგზავნილი სადგურ ყვირილადან, და მხოლოდ 21 ათასი ფუთი გავიდა დასავლეთ საქართველოს საზღვრებიდან, ვინაიდან საქართველოს ღვინის გარეშე ბაზარი არ ქონდა და შინაური მოთხოვნილება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მიწოდება, ღვინოების ფასი ძალიან დაბალი იყო და მეღვინეობა აღარ შეიქმნა მომგებიანი. თანდათან მეღვინეობა [illegible] იყო, ის არ იყო [illegible]. საქართველოს მეღვინეები ვერ შეეგუენ უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილებებს. ღვინოების დაყენების წესი ძლიერ მარტივი იყო. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ საქართველოს მევენახეობა საუკეთესო მასალას იძლეოდა, მხოლოდ წესი მეღვინეობისა აღარ შეეფერება ბაზრის მოთხოვნილებას.

საუფლისწულო მამულების გამგეობამ, წინანდლისა და ზოგიერთმა კერძო პირებმა: ანდრონიკაშვილმა ისეთი ღვინოები დააყენეს, რომლებსაც კარგი გასავალიც ქონდა გარეშე ბაზარზედ, და მეტოქეობასაც კი უწევდნენ ევროპის საუკეთესო ხარისხის ღვინოებს. საუფლისწულო მამულების გამგეობას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მეღვინეობის წინაშე. მან შემოიღო საქართველოში ევროპიული წესი მეღვინეობისა. უჩვენა მეღვინეებს საუკეთესო მაგალითი მეღვინეობის და მევენახეობის გარდაქმნისა.

მეღვინეობის კრიზისი საქართველოში უმთავრესად გამოწვეული იყო ბაზრის უქონლობით.

შინაურ ბაზარზე ღვინის გასვლას ხელს უშლიდა რუსეთის რკინის გზის პოლიტიკა; ამიერ-კავკასიაში ღვინის გადასაზიდი ტარიფი მაღალი იყო, რკინის გზის უწყება არ აგებდა პასუხს ღვინის გადაზიდვის დროს.

საქართველოს მეღვინეობის წარსულმა ძლიერ დიდი გამოცდილება გვიანდერძა. მეღვინეობის მეურნეობას უდიდეს და უმაღლეს დარგს დიდი საფრთხე მოელის. მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკამ უნდა გამოიყენოს წარსული გამოცდილება და გაძლიეროს მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი.

უპირველეს ყოვლისა აუცილებლად საჭიროა საერთო ხელმძღვანელობა. უნდა დაწყობილ იქნეს გეგმიანი ბრძოლა ავადმყოფობის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს მევენახეობას მოედო. ეს ბრძოლა სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფომ უნდა იკისროს მიწოდება ყოველგვარი წამლეულობის და იარაღების, რომელიც მევენახეობას სჭირდება.

მარტო დასახელებული საშუალებანი ვერ გადაარჩენენ საქართველოს მევენახეობას და მეღვინეობას. საქართველოს მეღვინეობას არა აქვს ბაზარი. შინაური ბაზარი სუსტია და საზარალო. უცხოეთის ბაზარი მოპოვებულ უნდა იქნეს. ამისათვის უნდა იქნეს გარდაქმნილი მეურნეობის მთელი წესი. ვინაიდან საქართველოში სხვა და სხვა რაიონებია, რომლებიც ბუნებრივი პირობებით განირჩევიან, აუცილებელია ღვინოების ტიპის დამუშავება ადგილობრივი პირობების მიხედვით. ღვინის დაყენება კი ევროპიულ წესებით უნდა ხდებოდეს. საქართველოს ღვინოებს შეუძლია საპატიო ადგილი მოიპოვოს ევროპის ბაზარზე.

საქართველოში ძლიერ წვრილი მევენახეობაა. წვრილი მევენახე სუსტია. მას არ შეუძლია დამოუკიდებლად მეურნეობა, წაიწიოს იგი წინ. ამიტომ აუცილებელია კოოპერაცია მეურნეობაში. კოოპერაციას საქართველოში ძლიერ სალი ნიადაგი აქვს. მსხვილი კაპიტალისტური მეღვინეობა და მევენახეობა არ იყო საქართველოში. კოოპერაციამ უნდა დაუახლოვოს და კავშირი შექმნას მშრომელ წვრილ მევენახეთა შორის. კოოპერაცია კი მისცემს საშუალებას შეიტანოს წარმოებაში ისეთი წესები, რომლებიც შესაძლებელია მსხვილი მეურნეობისათვის.

მეღვინეობის აღორძინების შესაძლებლობა ძლიერია, საჭიროა ხელმძღვანელობის გაერთიანება, დამუშავებული გეგმა მეურნეობისა.

მეღვინეობას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს წვრილი მეურნის ოჯახში. ერთი ვედრო ღვინო ფასობდა 1900 წ. აღმოსავლეთ საქართველოში 1.68 კაპ., 1910 წ. 1.76 კაპ. დასავლეთ საქართველოში 1900 წ.—149 კაპ.; 1910 წ.—1.85 კაპ. ერთი დესიატინის მოსავალი, დაახლოვებით შეადგენდა 118 ვედროს აღმოსავლეთ საქართველოში; 236 ვედროს დასავლეთ საქართველოში. მაშასადამე, ერთი დესიატინა იძლეოდა აღმოსავლეთ საქართველოში—208 მანეთს, დასავლეთ საქართველოში 436 მანეთს. ერთი დესიატინა ხორბლეულობის აღმოსავლეთ საქართველოში იძლეოდა 67 მ. 6. 73 მანეთამდე, დასავლეთ საქართველოში ერთი დესიატინა სიმინდი დათესილი იძლეოდა 62—77 მანეთს. განსხვავება დიდია ხორბლეულობის და მევენახეობისაგან. აღმოსავლეთ საქართველოში 135 მან., დასავლეთ საქართველოში—359 მ. განსხვავება დიდია და მასთან ერთად არის განსხვავება წმინდა მოგებაში. მოგების რაოდენობის გამოანგარიშება თითეულ დარგში ძნელია, ვინაიდან არა გვაქვს საჭირო საზუსტო ცნობები. მხოლოდ აშკარაა, რომ მეღვინეობის მოგება მეტი არის, ვიდრე ხორბლეულობის წარმოების. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდი კრიზისი, რომელიც განიცადა მეღვინეობამ ბაზრის სივიწროვის გამო, ხელს უშლიდა მევენახეობის გაძლიერებას. უნდა მივიღოთ მხედველობაში მეღვინეობის ეკონომიური უპირატესობა, ეს უპირატესობა არის უძლიერესი მიზეზი, რომელსაც შეუძლია აღორძინოს მეღვინეობა და მევენახეობა. ომიანობამ კიდევ უფრო შეაფერხა მეღვინეობა. ჩვენ ვიცით, რომ სივრცე ვენახებისა არ გადიდებულა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეურნეებს არ გამოუჩენიათ დიდი ხალისი ამ დარგის გაძლიერებისა. ხორბლეულობის გაძვირებამ მისცა უპირატესობა ხორბლეულობის წარმოებას. მეღვინეობა უფრო შეფერხდა. ჩვენ არ გვაქვს ცნობები, რა ცვლილება მოხდა მევენახეობაში. ერთი კი აშკარაა, რომ მეურნეობის ხალისი ხორბლეულობის წარმოებისაკენ უფრო გადიხარა. საერთოდ ომიანობის შედეგებმა ძლიერ შეაფერხა მაღალი კულტურის წარმოება სოფლის მეურნეობაში. ეს მიმართულება კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უმზადებს საქართველოს ჩამორჩენილ მეურნეობას. ევროპიდან შემოზიდვა ვენახებისთვის საჭირო წამლეულობისა გაძნელდა, მაშასადამე შესაძლებელია გაძლიერება ვენახების ავადმყოფობის. დღევანდელი მდგომარეობა მეღვინეობისა მძიმეა, შეფერხებული დარგი მეურნეობისა საჭიროებს სასწრაფო ზომებს.

ხ. ავალიანი.

ბორჯომის მინის ქარხანა.

ბორჯომის მინის ქარხანა,—შერუნებულ-ყოფილია ნედლი მასალით და დღეს უკვე მუშაობს. წყლის ჩასასხმელ საჭირო მინების საკმარისი რიცხვი შემოაქვთ ჩასასხმელ განყოფილებაში.

სამკერვალო წარმოება.

დღეს დღეობით მდგომარეობა სამკერვალო წარმოებისა შემდეგია: ყოფილი სახალხო გვარდიის და წვრილ დაწესებულებათა სახელოსნოები მო[illegible] სამხედრო [illegible] გადატანილია ძმ. თამამშევის კარავან სარაიში იქვე გადატანილია სამკერვალო მოქალაქეთა ტანისამოსისა ყოფ. ოფიც. ეკონ. საზოგადოებაში. ამ შენობამ სახელოსნომა ხელი შეუწყო პირველი ცენტრალურ საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკის დაარსებას. მეორე სამკერვალო საბჭოთა ფაბრიკა მოწყობილია ყოფილი ქალთა შრომის არტელთან. ტექნიკური მხრით ფაბრიკა საკმარისად კარგათაა გამართული. აკეთებენ განსაკუთრებით სამხედრო ტანისამოსს. მესამე საბჭოს ფაბრიკა გახსნილია ყოფილი სააქციონერო საზოგადოების ადელხანოვის ქარხანასთან, ჯერ ჯერობით ტექნიკურ მიზეზებისა გამო ეს ფაბრიკა არ მუშაობს, მაგრამ იქ ხდება მასალების გაჭრა, რომელსაც აძლევენ სახლში გასაკეთებლად. მთელ თბილისში 137 სამკერვალო დაწესებულებაა. ამასთან ითი უმრავლესობა წარმოადგენს შინაურ ხასიათის წარმოებას, რომლის ნაციონალიზაცია, თანახმათ დეკრეტისა კერძო დაწესებულების ნაციონალიზაციაზე, დაუშვებელია.

პროფ. კავშირების ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საბ. პროფ. კავშირის წინაშე, რომ თაობაზე ნაციონალიზაცია უფრო მსხვილი კერძო სამკერვალო სახელოსნოებისა, იმ მიზნით, რომ საშუალება ქონდეთ არსებულ საბჭოთა ფაბრიკების უკეთესად მოწყობისა. ცენტრალური საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკის ბინა ყოფ. კოოპერაციის ძმ. თამამშევისა არ შეეფერება თავის დანიშნულებას და ეს ბინა უვარგისად ცნობილია, [illegible]

ნავთის წარმოების განვითარება საქართველოში.

თელავსა და სიღნაღს მაზრებიდან დაბრუნებულმა სამთო სამართველოს უფროსმა ინჟინერმა ყუფინაძემ, რომელიც წასული იყო სანავთო ძიებების გასასინჯათ, საქ. რევკომს წარუდგინა მოხსენება თავის მგზავრობის შედეგებზე.

საქ. რევ კომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს ყოველი ზომები, რომ თავის დროზე მიეცეს საქართველოს ნავთის წარმოებას ყველა საჭირო მასალები. დადგენილია რომ გაეგზავნონ ბაქოში სპეციალისტები, გამოსარკვევად იმისა, თუ რა მასალებია საჭირო საქ. ნავთის წარმოებისათვის. ამავე დროს ინჟინერ ყუფინაძეს მინდობილი აქვს დაათვალიეროს საქარ. საგარეო ვაჭრობის განკარგულებაში მყოფი მასალები და ამოარჩიოს იქიდან რაც კი საჭიროა ნავთის წარმოებისათვის. ამავე სხდომაზე დადგენილია [illegible] სასწრაფო ზომები ფხოველის რაიონის [illegible] გამოსაყენებლად.

ტობანიერ-ის თემი.

დაგვიგვიანა მუდმივმა წვიმებმა სიმინდის დათესვა. უკვე ძველი სტილით ივნისი დაილია და ტობანიერის თემის ხიწეების ორი მესამედი დარჩენილია დაუხნავ—დაუთესელი.

საუბედუროთ, მუშა და გლეხი ვერც დათესილ სიმინდზე ამყარებს კარგ იმედს. წვიმის გამო, სიმინდს ამოსვლა ძალიან გაუჭირდა და რომელიც ამოვიდა იმას ღრუბლიანმა და დღე მუდმივმა ქარ-სიცივემ, არ მისცა საშუალება გაზრდისა და ისევ ამოსვლის თანვე ამოწყვიტა—გაახმო; ასე რომ თვით სახნავ ადგილებს, რომ გადახედოთ, ამოწყვეტილი სიმინდის ძაგვიერად, გადახრუკული ველ მინდვრებს შეხედავთ.

მუშა და გლეხის ტირილი ცას სწვდება; ის ამ თავითვე გრძნობს, რომ მის ცოლშვილს მომავალ წელს სიმშილობა მოელის. უმთავრესი შემოსავალი წყარო მუშა კაცისა არის სიმინდის შეძენა. ის არ ზოგავს თავის ძალ ღონეს, ოღონდ ეს უკანასკნელი მოიწიოს, ცოლშვილი შიმშილით არ დაიხოცოს; ულმობელმა ბუნებამ წელს არ მისცა ამის უფლება, და დასტოვა ხელ დაკრეფილი.

ყოველ წლის ამა დროს, მუშას სიმინდი გამარგლილ—გამორიდებული ქონია და წელს კი, ამას ვერ ვხედავთ.

ძველი სიმინდი უკვე გამოლევის მიდგა; ისიც ამ ორი კვირის განმავლობაში თავს დაუკრავს მუშა კაცს.

წრევანდელმა ამინდმა ასეთი ბედი არგუნა არა მარტო ტობ. თემს, არამედ მთელ რაიონის გამოღმა (მარცხენა) მხარეს და თუ მუშა კაცის ხმებს დაუჯერებთ, მთელ იმერეთსაც.

საჭიროა, როგორც ადგილობრივმა, ისე უმაღლეს მთავრობამაც ამ თავითვე მოაქციოს ყურადღება ამ ბედშავ მოვლენას, რაც მოითხოვს სახელმწიფოსა და ხალხის ბედნიერებას და თან მომავალი ტანჯვის თავიდან აცილებას.

ხიდ. უუბანეიშვილი.

ჩვენი ფოსტა

ვახტანგ ბაგრატიონ: მომხდარი ინციდენტი გაარჩიეთ ადგილობრივ კომიტეტთან.

მოთოლე ერთ წლის შრომის შვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, ვინაიდან კოოპერატივის [illegible] და იყვნენ უმთავრესათ მუშები და გლეხები, მის გარეშე კი დარჩენილ მყვლეფელი ელემენტები, თუ ეს ასეა მაშინ თქვენი წერილის დაბეჭდვა ზედმეტია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა საუცხოეთო პასპორტების შესახებ.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საუცხოეთო პასპორტების მიცემის შესახებ:

1. საზღვარგარეთ წასვლისათვის როგორც საქართველოს მოქალაქეთ, ისე საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეთ პასპორტს აძლევს მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი.

2. საუცხოეთო პასპორტი მიეცემა იმ პირთ, რომელთა წასვლისა [illegible] არავითარი დამაბ[illegible] არ [illegible]

[illegible] პორტს მისი პატრონის საქართველოში დაბრუნების დღიდან.

4. მესამე (3) მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ რესპუბლიკის საზღვრებში თავისუფალი ცხოვრების ნება [illegible] პირთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან ეძლევა.

5. პასპორტის ვადის განგრძობის უფლება საქართველოს საზღვრების გარეშე აქვს მხოლოდ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო წარმომადგენლობას [illegible] ხოვეთში.

6, [illegible]

[illegible] ებული მიზეზი [illegible] შინაგან საქმეთა და [illegible] საქართველო[illegible] მოთ[illegible]

7. დებულება ძალაში [illegible] რევოლუციონური [illegible]

განცხადებანი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

პარტიული

შაბათს, 23 ივლის, დილის 7 საათზე, ლითონზე მომუშავეთა კავშირის ბინაზე შესდგება მელითონეთა კომუნისტურ ფრაქციის სხდომა. სხდომაზე დასწრება წევრებისათვის სავალდებულოა.

პროფესიონალური

კვირას, 24 ივლისს, დილის 9 საათზე, მელითონეთა კავშირის ბინაზე გაიხსნება მელითონეთა ზავკომების კონფერენცია, [illegible] ვთხოვთ კონფერენციის აუცილებლად დასწრობა.

სხვა და სხვა

ქ. ტფილისის რევკომის „მშ ჩ ის" ქვე განყოფილება ამით აცხადებს, რომ მოქალაქე ვასილ [illegible] გარიევმა შემოიტანა განცხადება თავის გვარის „გარიევის" გვარზე შეცვლის შესახებ.

[illegible] ქვე განყ. გამგე მეგერ კარაევი.

— შორაპნის მაზრის იუსტიციის განყოფილება უკვე შეუდგა მოქმედებას; მაზრა დაყოფილია შემდეგ რაიონებათ: ზესტაფონის, ჩხერის, ხარაგაულის, კვალათის, საჩხერის, კორბოულის და ამაღლების. ამ რაიონებში საჭიროა სახალხო მოსამართლენი და გამომძიებლები, სასურველია იურისტები ან სათანადო პრაქტიკის მქონე პირები; მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით იუსტიციის განყოფილებას. მისამართი: ქ. ზესტაფონი, შორაპნის მაზრის იუსტიციის განყოფილების გამგეს.

განყოფილების გამგე გორგაძე.

დღეს, 23 ივლისს საღამოს 5 საათზე ქალ. რევკომის დარბაზში (ყოფილი ქალაქის გამგეობა)

შესდგება საერთო სხდომა

თბ. კ. და ქალ. რევკომის პლენუმისა, რომელზედაც მიწვეულია: 1) ქალ. რევკომის და [illegible] ყველა წევრები, 2) კომუნისტური ფრაქცია პროფსაბჭოსი, 3) მდივნები კ. პ. რაიონულ კომიტეტებისა, 4) მდივნები მუშათა [illegible] თა კავშირისა, 5) საქ. ც. კ. კ. სეკრეტარიატის წარმომადგენელი, 6) კომუნისტური ფრაქცია პროფკავშირის კომუნისტური მუშაკთა.

დღიური წესრიგი: 1) საანგარიშო მოხსენება ქალრევკომის [illegible] დუმისა, 2) მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველასათვის [illegible] კრები-

კვირას, 24 [illegible]

[illegible] ავალდებულოა.

თფ. ქ. კ. ბიურო[illegible]

[illegible] დილის 1 საათზე [illegible] თელლოვის სახალ. კომისარი[illegible] (პასკევიჩის ქ. № 4.) [illegible] ატის ბინაზე [illegible] დის და ბავშვის დაცვის განყოფილების [illegible] სხდომა.

დანიშნულია დ[illegible] დის და ბავშვის [illegible] დამხმარე კომისიის [illegible]

მოწვეულნი არიან შემდეგი წარმომადგენლები: 1) დედის და ბავშვის დაცვის ქვე განყოფილებების, 2) საქ. კომუნისტურ პარტიისა, 3) [illegible] კავშირისა, 4) [illegible] 5) [illegible] 6) მუშა ქალთა [illegible]

კვირას, 25 ივლისს დილის 10 საათზე [illegible]

[illegible] კონფერენციისა.